www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3386 (193) | ფასი 50 თეთრი

წინასაარჩევნო გარემო საქართველოში



ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს (ODIHR) გრძელვადიანმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტი 19 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მოსაზრებათა თანახმად, რომლებთანაც სადამკვირვებლო მისიას ურთიერთობა აქვს, ამჟამინდელი საარჩევნო კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში განიხილება და ის აშკარად უფრო მშვიდია.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

დავით კეზერაშვილი დააკავეს

თიკა ნიკოლაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პარიზისა და თბილისის ინტერპოლის ბიუროების თანამშრომლობის შედეგად, 14 ოქტომბერს საფრანგეთში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი დააკავეს.

დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული. თბილისის საქალაქო სასამართლოში მის წინააღმდეგ საქმეები განხილვის პროცესშია.

საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს პროკურატურა ორ ეპიზოდში ედავება - ე.წ. სპირტის კონტრაბანდის და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისების საქმეებზე, სადაც კეზერაშვილი დედაქალაქის მერ გიგი უგულავასთან ერთად არის ბრალდებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დავით კეზერაშვილს ბრალად ედება: სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქრთამის აღება, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საბაჟო წესების დარღვევა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრება და უკანონო შემოსავლის მიღება.

„მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს, პარიზის და თბილისის ინტერპოლის ბიუროების თანამშრომლობის შედეგად, საფრანგეთში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი, 1978 წელს დაბადებული დავით შოთას ძე კეზერაშვილი დააკავეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ძლიერი მიწისძვრა ფილიპინებზე

7,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა ფილიპინების არქიპელაგის ცენტრალურ კუნძულებზე. აშშ-ს გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, ეპიცენტრი ტურისტებისთვის პოპულარულ კუნძულ ბოჰოლთან მდებარეობდა. მიწისძვრას, სულ ცოტა, 74 ადამიანი შეეწირა - ძირითადად, ბოჰოლისა და სებუს პროვინციებში. მსხვერპლია ახლოს მდებარე სხვა კუნძულებზეც. ექიმების დახმარება ასობით დაშავებულს დასჭირდა. დაზიანდა და დაინგრა ათობით სახლი.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ჟენევაში ირანთან „ექვსეულის“ მოლაპარაკებები განახლდა

ივა შილაკაძე

გუშინ ჟენევაში განახლდა დიდი ხნის „გაყინული“ მოლაპარაკებები ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ ამ ქვეყანასა და საერთაშორისო შუამავალთა „ექვსეულს“ შორის. ამ ექვსეულში შედიან გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი სახელმწიფო - აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და აგრეთვე გერმანია. შეხვედრებს ტრადიციულად ესწრებიან ევროკავშირისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლები. მოლაპარაკებების ეს რაუნდი ორდღიანია და დღეს უნდა დამთავრდეს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643	⇓
1 ევრო	2.2110	⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933	⇓
1 თურქული ლირა	0.8622	⇓
100 რუსული რუბლი	5.0433	⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

სფფ-ისა და ქომაგების ერთობლივი აქცია დვანში

სხვისი ომი და ჩვენი ვლანეტა

17 ოქტომბერს გაქირავებაში „მანდარინები“ გამოდის. „გრავიტაცია“ უკვე გამოსულია

ია ვეკუა

მანდარინი მრგვალია. დედამიწასავით. კანს გააცლი და შიგნით რამდენიმე ლებანი გხვდება. ეს ლებნები ისევე ეყოფა ყველას, როგორც დედამიწაზე გაბნეული მიწები, ქვეყნები, შემოსაზღვრული თუ ველურად დარჩენილი ტერიტორიები. მაგრამ თითოს მხოლოდ ერთი ლებანი გვხვდება - როგორც სამშობლო, რომელიც სხვების სამშობლოსგან ხან მავთულხლართებითაა განცალკევებული, ხანაც მხოლოდ ფორმალობისთვის, ტურისტების გასართობად გავლებული ხაზით. არასდროს იცი, რომელი საზღვარი უფრო დაცულია - მიწაზე დახატული თეთრი ზოლი თუ ღრმად ჩაბეტონებული ეკლიანი მავთულის ბადე.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი: ამნისტიის კანონზე ვეტოს გადასალახავად ივანიშვილი დეპუტატებს პირადად ურეკავდა

ამნისტიის კანონზე პრეზიდენტის ვეტოს გადასალახავად ივანიშვილი პირადად ურეკავდა დეპუტატებს და მე ამის მომსწრე ვარ, - ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს სენაკში განუცხადა, სადაც სპეცოპერაციისას დაღუპული პოლიციელის დავით დემურიას ოჯახს მიუსამძიმრა.

მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებსაც დაურეკა.

„ივანიშვილი პირადად ურეკავდა დეპუტატებს, ამის მომსწრე ვარ, რომ შეეგროვებინა ისინი ამნისტიასთან მიმართებაში პრეზიდენტის ვეტოს გადასალახავად. მინდა, ვკითხო პრემიერ-მინისტრს, მაინტერესებს, რას ფიქრობდა, როცა ამ ვეტოს ლახავდა და კრიმინალებს გარეთ უშვებდა?! ეს რომელიღაც დეპუტატის ინიციატივა არ არის. ის პირადად რეკავდა და მათ შორის ურეკავდა ჩვენს დეპუტატებს. ვფიქრობ, ყველა უნდა დავსერიოზულდეთ. არ შეიძლება, ასეთი რაღაცების კეთება ვიღაცის ჯინაზე. მინდა, მოვუწოდო მთავრობას და ვთხოვო, თავისივე შეცდომებზე ისწავლონ, რათა ეს აღვკვეთოთ და დავამთავროთ. ნეტავ, ეს იყოს ბოლო მსხვერპლი. არ შეიძლება, ცალკეული გმირების იმედად ვიყოთ მუდამ, სახელმწიფო უნდა მუშაობდეს,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ცალკე აღებული ვერავინ უშველის იმ ქვეყანას, რომელშიც მთავრობა არ მუშაობს.

„ჩვენ ამ მთავრობას დავუტოვეთ გამართული პოლიცია და ფული, რომელსაც ჭამენ მთელი ეს წელი. არაფერი ახალი არ შეუქმნიათ. ერთადერთი, რასაც ვეხვეწებოდი, იყო - ნუ უშვებთ ამ კრიმინალებს გარეთ. როცა ჯაბამ გამოუშვა, მაშინ არც პოლიცია ჰყავდა და არც ფული ჰქონდა საქართველოს და იმიტომაც გადაუარეს ქვეყანას. ახლა ერთი წელი კბილებით უჭირავს ჩემი მთავრობის დატოვებულ ფულს და ჩემი მთავრობის დატოვებულ პოლიციას. მაგრამ, ეს ყველაფერი უსაშველო არ არის, ასეთი ბიჭები განუსაზღვრელი რაოდენობით არ არიან. მერე ყველა დაიღლება და ვშიშობ, ჩვენ მხოლოდ დასაწყისში ვართ,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრემიერმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს ყურბან-ბაირამის დღესასწაული მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს ყურბან-ბაირამის დღესასწაული მიულოცა.

ბიძინა ივანიშვილი, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილთან ერთად, თბილისის მეჩეთში იმყოფებოდა, სადაც ყურბან-ბაირამის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფტმა ჯემალ პაქსაძემ ლოცვა შეასრულა.

პრემიერმა მეჩეთში შეკრებილ მლოცველებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს მათთან ერთად ზეიმობს.

„დღეს არის დიდი სიხარულის დღე, ეს არის იმედის, სიყვარულის, გაჭირვებულთა დახმარების დღე. ამ დღეს ყველა ხარობს და მე დიდი სიამოვნებით ვუერთდები თქვენს სიხარულს და თქვენთან ერთად ვზეიმობ ამ ძვირფას დღეს. მინდა, გისურვოთ ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრება, გაძლიერება, გამთლიანება ვუსურვო თქვენს სამშობლოს, საქართველოს, კეთილდღეობა ვუსურვო თითოეული თქვენგანის ოჯახს, ბედნიერება, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენს ოჯახებში. მშვიდობით გეცხოვროთ თქვენს საყვარელ სამშობლოში,“ - მიმართა ბიძინა ივანიშვილმა მუსლიმ მრევლს.

მუსლიმებს ყურბან-ბაირამის დღესასწაული საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმაც მიულოცა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს ბიბლიური დღესასწაულია და აბრაამს უკავშირდება.

„შესაბამისად, ეს არის დღესასწაული, რომელსაც მუსლიმებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მთავრობა ამაყობს იმით, რომ ჩვენი ერი მრავალკონფესიურია, მუსლიმები საუკუნეებია, ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ ერთად ცხოვრება უნდა განვაგრძოთ და XXI საუკუნეში სანიმუშო ქვეყანა უნდა გავხდეთ, რათა მსოფლიოს ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება ერთ ერში იყოს გაერთიანებული მრავალკონფესიურობა. ჩვენთან არა მხოლოდ ქრისტიანები და მუსლიმები არიან ერთი ნაციის ნაწილი, არამედ შიიტები და სუნიტებიც ქართველი ნაციის ნაწილები არიან, რაც თავისთავად საინტერესო მოვლენაა და ამით ვამაყობთ,“ - აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

მეჩეთში გუშინ ასევე იმყოფებოდნენ აზერბაიჯანისა და თურქეთის ელჩები საქართველოში.

სპეცოპერაციის შედეგად სამი ადამიანი დააკავეს

გუშინ საბურთალოს რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა ყაჩაღური ჯგუფის წევრები დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, 2004 წელს ჩადენილი დანაშაულისთვის დაკავებულია სამი პირი.

დავით კეზერაშვილი დააკავეს

პირველი გვერდიდან

დავით კეზერაშვილს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქრთამის აღებას, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საბაჟო წესების დარღვევას, რამაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ზარალი გამოიწვია, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრებას და უკანონო შემოსავლის მიღებას, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დიდი რაოდენობით მითვისება/გაფლანგვას.

დავით კეზერაშვილს ეკავა ჯერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსის, ხოლო შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობები, რასაც ბორტად იყენებდა აღნიშნული დანაშაულების ჩადენის მიზნით.

ამჟამად საფრანგეთის პროკურატურის მიერ დავით კეზერაშვილის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები,“ - ნათქვამია შსს-ს განხცადებაში.

დავით კეზერაშვილის დაკავების შესახებ კომენტარი გააკეთა საქართველოს ელჩმა საფრანგეთში ეკატერინე სირაძე-დელონემ. მისი განმარტებით, თავდაპირველი არსებული ინფორმაციით, დაკავებული პარიზში იმყოფებოდა, თუმცა მოგვიანებით განსხვავებული ცნობები გავრცელდა.

„გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული, დიდი ალბათობით, სამხრეთ საფრანგეთში იმყოფება. ჩვენ ვცდილობთ, დავადგინოთ მისი ადგილმდებარეობა, რათა მივიდეთ და გავეცნოთ, რა პირობებშია და როგორ არის დაკავებული, ასევე მივიღოთ ინფორმაცია, რა პროცედურები მიმდინარეობს. გვაქვს კონტაქტები ინტერპოლთან, ვცდილობთ, კავშირზე გავიდეთ პროკურატურასთან, რათა მაქსიმალური ინფორმაცია მოვიძიოთ,“ - განაცხადა ეკატერინე სირაძე-დელონემ.

ელჩის განმარტებით, ამ ეტაპზე საელჩო საქართველოში გავრცელებულისგან განსხვავებულ ინფორმაციას არ ფლობს.

საქართველოს მთავარი პროკურატურა თავდაცვის ყოფილი მინისტრის სამშობლოში ექსტრადიციას მოითხოვს.

უწყების სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროს ირაკლი ჩილინგარაშვილის განცხადებით, ქართულმა მხარემ ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება უკვე დაიწყო.

„ჩვენ უკვე ვამზადებთ საექსტრადიციო მასალებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით მიეწოდება საფრანგეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს. ამის შემდეგ უკვე საფრანგეთის შესაბამისი სასამართლო და იუსტიციის სამინისტრო მიიღებენ გადაწყვეტილებას კეზერაშვილის საქართველოში შესაძლო ექსტრადიციის შესახებ. საერთაშორისო ხელშეკრულებით, დაკავებიდან მასალების მიწოდებამდე დადგენილი ვადაა 40 დღე,“ - განაცხადა ჩილინგარაშვილმა.

მისივე თქმით, 40-დღიანი ვადის მიუხედავად, რომლის ათვლაც 14 ოქტომბერს დაიწყო, ქართული მხარე საფრანგეთს საჭირო დოკუმენტებს უფრო მოკლე დროში მიაწოდებს.

რაც შეეხება დავით კეზერაშვილის ადვოკატს, ის ამ ეტაპზე თავისი კლიენტის დაკავების ფაქტზე დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს. «რუსთავი 2-ის“ ინფორმაციით კი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი საფრანგეთში 18 ოქტომბრამდე გადაიდო. მანამდე კი კეზერაშვილი წინასწარ პატიმრობაში დარჩება.

ცნობისათვის - დავით კეზერაშვილი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტი 2006 წლის 11 ნოემბრიდან 2008 წლის 5 დეკემბრამდე ეკავა, ისრაელის მოქალაქეა.

კეზერაშვილი თბილისში დაიბადა და 1992 წელს, ბებიასთან ერთად, ისრაელში, ჰოლონში, გადასახლდა. წელიწადნახევრის შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნდა და 1999 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაასრულა.

იუსტიციის სამინისტროში მუშაობის პერიოდში დავით კეზერაშვილი მიხეილ სააკაშვილის თანაშემწე გახდა. შემდეგ ფინანსთა სამინისტროში განაგრძო მუშაობა, სადაც ერთხანს ფინანსური პოლიციის განყოფილების უფროსი იყო.

2006 წლის 11 ნოემბერს კი დავით კეზერაშვილმა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტზე ირაკლი ოქრუაშვილი შეცვალა.

აღნიშნული თანამდებობიდან კეზერაშვილი 2008 წლის 5 დეკემბერს გაათავისუფლეს.

ყოფილი თავდაცვის მინისტრის დაკავებას საქართველოს ხელისუფლების და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გამოეხმაურნენ.

საქართველოს ვიცე-პრემიერ კახი კალაძის განცხადებით, კეზერაშვილი «იმ ბინძურ საქმიანობასთან ასოცირდებიდა, რასაც სააკაშვილის გუნდი ეწეოდა.“

„ზოგადად ამ ადამიანის მიმართ კითხვები არსებობდა. ადამიანი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა, ყველა იმ ბინძურ საქმიანობასთან, რომელსაც მისი გუნდი ეწეოდა. ასე რომ, დაველოდოთ,“ - განაცხადა კალაძემ.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტან ხმალაძის თქმით, ადამიანი ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს, თუ იმას იფიქრებს, რომ «საფრანგეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს“.

„როგორ ფიქრობთ, საფრანგეთის სამართალდამცველმა ორგანოებმა კეზერაშვილი იმიტომ დააკავეს, რომ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და ხელისუფლებას ეს ახლა სჭირდებოდა? მგონი, ადამიანი ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს, თუ იმას იფიქრებს, რომ რომელიმე ქვეყნის და მით უფრო საფრანგეთის, ასეთი ძლიერი ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს,“ - განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

მელნიკოვი: „უკრაინაში არაადამიანურ პირობებში მამყოფებდნენ“

თბილისის საქალაქო სასამართლოში დათა ახალაია-ოლეგ მელნიკოვის საქმის წინასასამართლო სხდომა გაიმართა. საქმე ეხება ე.წ. მოდულის შენობაში ორი პოლიციელის ცემის და უკანონო თავისუფლების აღკვეთის ფაქტს.

გუშინდელ სხდომას ოლეგ მელნიკოვი ესწრებოდა. იგი რომელიც აღნიშნულ საქმეში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

მოსამართლის შეკითხვაზე, ხომ არ განხორციელებულა მასზე რაიმე სახის ზეწოლა, მელნიკოვმა უპასუხა, რომ მასზე ზეწოლას უკრაინაში ახორციელებდნენ.

მელნიკოვმა უკრაინის ციხეში ყოფნის პერიოდი გაიხსენა და განაცხადა, რომ მას დაკავების მომენტიდან არაადამიანურ პირობებში ამყოფებდნენ.

„იქ სულ სხვანაირი ციხეა. ფანჯარას შუშა არ ჰქონდა. არც სკამი იყო, არც მაგიდა, მთელი დღე წყალს კეტავდნენ. ერთხელ ვიღაც მოვიდა და გამაფრთხილა, ჭკვიანად იყავიო და მაჩვენა ჩემი ცოლისა და შვილის სურათი, რომლებიც გზაზე გადადიოდნენ. ვუთხარი, კი, ბატონო, ჭკვიანად ვიქნები-თქო. ჩამოვიდნენ ქართველი პროკურორები, დამკითხეს და მითხრეს, დედასთან რამეს ხომ არ დაგვაბარებო. აქ გავიგე, რომ ჩემს 75 წლის დედასთან მისულან და უთქვამთ, თუ ჭკვიანად არ იქნება, დიდი „სროკი“ ელოდება და გააფრთხილეო. ჩემს მეუღლესთან კი ქურდები მივიდნენ და უთხრეს, ქართველი ქურდები ვართო და შეაშინეს,“ - განაცხადა მელნიკოვმა და მოსამართლეს თავისი მეუღლის და დედის დაკითხვის თხოვნით მიმართა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა ნუსხა ორივე მხარემ წარადგინა. ბრალდების მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ დაცვის მხარემ მოსამართლესთან იშუამდგომლა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები დაუშვებლად იქნეს ცნობილი, რადგან ისინი პროკურატურამ არაკანონიერი გზით მოიპოვა. პროკურატურამ კი, თავის მხრივ, სასამართლოსგან თავისი ყველა მტკიცებულების დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

უამრავი მტკიცებულება გვაქვს იმისა, რომ გარკვეული დოკუმენტები გაყალბდა. გვყავს მოწმეები, რომლებიც ამ დანაშაულს, ფაქტობრივად, გამორიცხავენ და ასევე გვაქვს შუამდგომლობა ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულების დაუშვებლობაზე უარის თქმის შესახებ, რაზეც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. იმედს ვიტოვებთ, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს და ჩვენს შუამდგომლობებს დააკმაყოფილებს,“ - განაცხადა ოლეგ მელნიკოვის ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

პროკურორი კი აცხადებს, რომ ბრალდების მტკიცებულებები მყარია და ის, რაზეც დაცვის მხარე საუბრობს, აბსურდია.

დაცვის მხარემ შეიძლება, ბევრი ისაუბროს მტკიცებულებების არარსებობაზე, მაგრამ ეს აბსურდია. ბრალდების მხარეს საკმაოდ მყარი მტკიცებულებები გაჩნია,“ - განაცხადა პროკურორმა ლევან ბაჩიაშვილმა.

მოსამართლის გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ მტკიცებულებებს გამოიკვლევენ არსებითი განხილვის დროს, სავარაუდოდ, მომდევნო სხდომაზე გახდება ცნობილი.

დაცვის მხარე კი მომდევნო სხდომაზე სხვა შუამდგომლობის დაყენებას აპირებს, რომელიც ოლეგ მელნიკოვისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლას და ყველა ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას შეეხება.

ცნობისათვის: საქმე მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მუშაკთა ცემის ფაქტს ეხება.

აღნიშნული დანაშაულისთვის დათა ახალაიას ბრალი წარედგინა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144/1 მუხლის მე-2 ნაწილით (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

იოსებ თოფურიძეს, გერონტი ალანიას და ოლეგ მელნიკოვს ბრალი წარედგინათ სსკ-ის 144/1 მუხლის მე-2 ნაწილით (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით ახალაიას, სოსო თოფურიძეს, ოლეგ მელნიკოვსა და გერონტი ალანიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

2012 წლის 7 დეკემბერს უკრაინაში, ქალაქ კიევში, უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა, საქართველოს ინტერპოლიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი, 1966 წელს დაბადებული ოლეგ მელნიკოვი დააკავეს.

ოლეგ მელნიკოვი, დაპატიმრების და საქართველოში შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, ინტერპოლის თბილისის ბიუროს მიერ საერთაშორისო ძებნაში 2012 წლის 5 დეკემბრიდან იმყოფებოდა.

შსს-ს ინფორმაციით, ოლეგ მელნიკოვს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური პირის უფლების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილს ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის ივლისში ოლეგ მელნიკოვს ბრალი წაეყენა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე სსსკ-ს 24-143-ე მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ა“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დახმარება თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის

მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით).

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შპვ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

წინასაარჩევნო გარემო საქართველოში

პირველი გვერდიდან

მისია არჩევნებისადმი მინისტრთა-კაბინეტის დამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას. **„მთავრობამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს სანიმუშო არჩევნების ჩატარება: პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ „მთავრობა და მთლიანი ადმინისტრაციული სისტემა - საბიუჯეტო სახსრები, პოლიცია და ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო - მიმართული იქნება თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისა და არა რომელიმე ერთი კანდიდატის გამარჯვების ხელშეწყობისკენ,“** - ნათქვამია შუალედურ ანგარიშში.

პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო კამპანიები კი, ანგარიშის მიხედვით, ძირითადად, „კარდაკარ“ აქტივობებზეა ორიენტირებული. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, შედარებით ნაკლებად, მაგრამ ამომრჩეველთან ურთიერთობისთვის ასევე გამოიყენება ინტერაქტიური ვებგვერდები და სოციალური ქსელები. რაც შეეხება რეკლამებს, დოკუმენტის თანახმად, თბილისში ნინო ბურჯანაძისა და გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო ბილბორდები მრავლადაა, საქართველოს სხვა რეგიონებში კი იშვიათად არის განთავსებული. როგორც მისია მიუთითებს, დავით ბაქრაძის ბილბორდები შედარებით ნაკლებია.

დოკუმენტში საარჩევნო კამპანიის სხვა მახასიათებლებზეც კეთდება აქცენტი. აღნიშნულია, რომ სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული, ამომრჩევლებთან შეხვედრების რაოდენობა სტაბილურად იზრდება.

სადამკვირვებლო მისია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობას ეფექტურად და გამჭვირვალედ აფასებს. დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ ცესკო-მ წინასაარჩევნო სამუშაო დადგენილ ვადაში შეასრულა. ხოლო, არჩევნების ადმინისტრირებისადმი ყველა დაინტერესებული მხარე ნდობით არის განწყობილი. ოდირის მისია აგრეთვე მიუთითებს, რომ საოლქო და საუბნო კომისიები სრული დატვირთვით მუშაობენ, პირველი სხდომა ყველა საუბნო კომისიაში 23 სექტემბერს ჩატარდა. **„საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი კი ცესკო-მ გამჭვირვალედ და ყოვლისმომცველად წარმართა,“** - ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტში ასევე შეფასებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა. ანგარიშის თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირები შეშფოთებულნი არიან საპრეზიდენტო არჩევნებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული სუსტი კონტროლის გამო. დოკუმენტში ერთ-ერთი მაგალითია დასახელებული. **„კამპანიის დაფინანსების მეთვალყურეობა 2011 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ევალება. 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება შეიზღუდა. კამპანიის ჩატარების წესების დარღვევისთვის, შემოწირული სახსრებისა და ქონების წარმოშობის შესახებ ცნობების გამოთხოვა, ასევე სანქციების დაკისრება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლია. პარტიები და საინიციატივო ჯგუფები ვალდებულნი არიან, მათი საარჩევნო რეგისტრაციის თარიღიდან მოყოლებული, ყოველ სამ კვირაში ერთხელ წარადგინონ ფინანსური ანგარიში და შემოწირულობის მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ჩააბარონ თითოეული შემოწირულობის შესახებ ანგარიში. დღეისთვის პარტიების მიერ წამოყენებულმა ორმა კანდიდატმა და დამოუკიდებელი კანდიდატებიდან შვიდმა ანგარიშგების მოთხოვნების შესრულება ვერ შეძლო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ოდირ -ის სადამკვირვებლო მისიას შეატყობინა, რომ ამჟამად ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ფინანსური დეკლარაციის შემოწმება მიმდინარეობს და თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი მიმართვა იგეგმება,“** - ნათქვამია შუალედურ ანგარიშში.

სადამკვირვებლო მისია მედიასივრცესაც ეხება და მას, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდთან შედარებით, ნაკლებად პოლარიზებულად აფასებს. **„მიიჩნევა, რომ ძირითად პოლიტიკურ მოვლენებს ჟურნალისტები უფრო ყოვლისმომცველად, ნეიტრალურად და მიუკერძოებლად აშუქებენ, თუმცა, კვლავაც აღინიშნება კრიტიკული ანალიზისა და ანალიტიკური რეპორტაჟების ნაკლებობა. ამასთან, ბეჭდური მედია საზოგადოებას მოსაზრებათა უფრო ფართო სპექტრს სთავაზობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი გავლენა ნაკლებია. ბეჭდურ მედიას თანდათანობით ონლაინმედია ენაცვლება,“** - ნათქვამია დოკუმენტში.

ანგარიში ასევე ეთმობა პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობას. სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის „დაძაბული კოჰაბიტაციის ნიშნებია“. **„საარჩევნო კამპანიის დასაწყისიდანვე აშკარაა მმართველ კოალიციასა („ქართული ოცნება“) და საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და მათ ლიდერებს შორის დაძაბული კოჰაბიტაციის ნიშნები. ამას ემატება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ხელმძღვანელი პირის, მათ შორის, გენერალური მდივნის, დაკავება და წინასწარი პატიმრობა,“** - აღნიშნულია ანგარიშში.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიისთვის ხელშეშლის ფაქტებს, როგორც ანგარიშშია ნათქვამი, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად გახსნის დღიდან მათ შეკრებებზე ზეწოლისა და დაშინების შემთხვევების გამო, სულ მცირე, 16 ადამიანია დაჯარიმებული.

საარჩევნოდ სამართლებლივი ჩარჩო კი, მისიის შეფასებით, ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს.

წინასაარჩევნო დარღვევები

ოდირ»-ის სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიშის კვალდაკვალ, წინასაარჩევნო პერიოდის შესახებ მეხუთე ანგარიში გამოაქვეყნა „სამართლიანმა არჩევნებმა.“ დოკუმენტში 8 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით გამოვლენილი დარღვევებია ასახული.

„სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის ნინო ლომჯარიას ინფორმაციით, ორგანიზაციის დაკვირვებით, „ქართული ოცნების“ კანდიდატის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების - ოთხი, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სასარგებლოდ ორი შემთხვევაა აღწერილი. დარღვევები პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიასა და სააგიტაციო შეხვედრებში საჯარო მოხელეების მონაწილეობას ეხება.

ანგარიშში პოლიტიკური ზეწოლის ხუთი ფაქტია შესული. ნინო ლომჯარიას თქმით, ოთხ შემთხვევაში კოალიცია „ქართული ოცნების“ პარტიული აქტივისტები და შტაბის წარმომადგენლები საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებზე ზეწოლას ახდენდნენ, რათა საარჩევნო კომისიებში „ქართული ოცნებისთვის“ სასურველი კანდიდატები დაენიშნათ. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერი სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებს პარტიის სააგიტაციო შეხვედრაზე დასწრებას აიძულებდა.

ნინო ლომჯარიას თქმით, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის ხელშეშლის სამი ფაქტია მონიშნული. როგორც მან აღნიშნა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ზუგდიდში, თბილისსა და თეთრიწყაროში კამპანიის ჩატარებაში ხელი შეეშალათ.

უწყებათშორისი კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, „სამართლიანი არჩევნები“ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში საკადრო ცვლილებების გაგრძელების შესახებ საუბრობს. **საანგარიშო პერიოდში ხუთ მუნიციპალიტეტში გამგებელი შეიცვალა, ერთ მუნიციპალიტეტში კი საკრებულოს თავმჯდომარე გადაყენეს, თანამდებობა დატოვა ერთმა მერმა,“** - აღნიშნავს ნინო ლომჯარია.

„სამართლიანი არჩევნები“ ასევე აკვირდება ცესკო-ს მუშაობას და მიიჩნევს, რომ კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა გააუქმოს ან საფუძლიანად შეცვალოს 2012 წლის დადგენლება, რომელიც კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე ფოტო-ვიდეოგადაღებას ეხება.

არასამთავრობო ორგანიზაცია საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ ერთი ანგარიშის მომზადებას აპირებს.

კანდიდატების ფინანსები

წინასაარჩევნოდ აქტუალური საკითხია პრეზიდენტობის კანდიდატთა კამპანიისა და პარტიების დაფინანსების საკითხი. საარჩევნო კანონმდებლობით, კანდიდატის მიერ გაწეული ჯამური ხარჯი საქართველოს წინა წლის მშპ-ს 0.1 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. პარტიას უფლება აქვს, წლიურად კერძო პირისგან - მაქსიმუმ, 60,000 ლარის ოდენობის, ხოლო იურიდიული პირისგან 120,000 ლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღოს.

1 ივლისიდან 22 სექტემბრამდე ყველა საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ გაღებული დეკლარირებული შემოწირულობების ჯამმა 2,175,308 ლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ კორპორატიული შემოწირულობის აკრძალვა გაუქმდა, იურიდიული პირისგან შემოწირულობა, «ოდირ»-ის მისიის მონაცემებით, არც ერთ კანდიდატს არ მიუღია. 142-მა ფიზიკურმა პირმა კი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, დაახლოებით, 1,741,360 ლარი შეიტანა; „დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს“ 430,903 ლარი 122 დონორმა გადასცა; „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მოცემულ პერიოდში შემოწირულობები არ მიუღია.

რაც შეეხება ბოლო ერთი თვის მონაცემებს, გასული ორი კვირის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ფულადი შეწირულობის სახით, 140 ათასი ლარი მიიღო. შემწირველების უმეტესობა თავად პარტიის წევრი პარლამენტარები არიან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროს ზურაბ აზნაურაშვილის ინფორმაციით, პარტიამ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შემოწირულობა პირველად სწორედ ამ პერიოდში მიიღო. მისი თქმით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შუალედურ არჩევნებზე, არაფულადი შემოწირულობის სახით, ოფისი მიიღო.

140 ათასი ლარი „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე 28 ფიზიკურმა პირმა შეიტანა. პარტიის შემწირველები არიან: გიორგი ოჩიაური (10 ათასი ლარი), ჯუმბერ ბეჟაშვილი (3 ათასი ლარი), ზურაბ ჩილინგარაშვილი (5 ათასი ლარი), გიორგი გოდაბრელიძე (2 ათასი ლარი), ზაზა კედელაშვილი (10 ათასი ლარი), დავით დარჩიაშვილი (10 ათასი ლარი), სერგო რატიანი (7 ათასი ლარი), შოთა მალაშხია (10 ათასი ლარი), შორენა გარდაფხაძე (3 ათასი ლარი), დავით ჯინჯოლავა (500 ლარი), ირაკლი ქავთარაძე (5 ათასი ლარი), ქეთევან მჭედლიძე (5 ათასი ლარი), ირაკლი ნადირაძე (9 ათასი ლარი), გიორგი ბარამიძე (15 ათასი ლარი), ირმა ნებიერიძე (1 500 ლარი), გიორგი ხელაშვილი (2 ათასი ლარი), ვალერი ადაიანი (2 ათასი ლარი), თორნიკე ხეთაგურაშვილი (2 ათასი ლარი), თევდორე დორეული (2 ათასი ლარი), გიორგი ძიძიგური (5 ათასი ლარი), ელენე ჯავახაძე (4 ათასი ლარი), ლიანა ქვარცხავა (2 ათასი ლარი), ლევან ბეჟაშვილი (4 ათასი ლარი), ნინო ქიშმარეიშვილი (7 ათასი ლარი), გიორგი ღვინიაშვილი (10 ათასი ლარი), ასევე ორჯერ განახორციელა შემოწირულობა ჩიორა თაქთაქიშვილმა (ჯამში 3 ათასი ლარი).

ოქტომბერში ყველაზე მეტი შემოწირულობა - დაახლოებით, 400 ათასი ლარი - „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ მიიღო. მისი ყველაზე მსხვილი შემომწირველი თავად პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძეა. მან ანგარიშზე 60 ათასი ლარი შეიტანა. გარდა ამისა, ოფიციალური ინფორმაციით, გასული 2 კვირის განმავლობაში „დემოკრატიულმა მოძრაობამ“, ავტომანქანებისა და ოფისების სახით, არაფულადი შემოწირულობაც მიიღო, რომლის საერთო ღირებულება 16 ათას ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ არაფულად შემოწირულობას შორის ირიცხება ნინო ბურჯანაძის ვაჟის ანზორ ბიწაძის კუთვნილი ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერი“, რომლით სარგებლობასაც პარტია საარჩევნო პერიოდის დამთავრებამდე შეძლებს.

„ქართული ოცნების“ მიერ ოქტომბერში მიღებული შემოწირულობა 1 500 ლარს შეადგენს. აქედან 1000 ლარი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ გაიღო, 500 ლარი - პარლამენტარმა თამაზ ავდალიანმა.

ზურაბ აზნაურაშვილის ინფორმაციით, სექტემბერში „ქართული ოცნების“ ფულადი შემოწირულობა 562 ათას ლარს შეადგენდა.

აგვისტოს შემდეგ შეწირულობა არ მიუღია „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.“ პარტიის წევრ ლევან ვეფხვაძის თქმით, 2012 წელს წინასაარჩევნო კამპანიაში პარტიამ დიდი ფინანსური აქტივი დახარჯა და ეს ერთი წელი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ პარტიას სული მოეთქვა. **„ჩვენ ბიუჯეტიდან მიღებულ თანხებს ვხარჯავთ, რომელიც ცოტა არ არის. მიგვაჩნია, რომ პარტიები ერთმანეთს არა ფულის ხარჯვაში, არამედ პროგრამებში უნდა ეჯიბრებოდნენ,“** - ამბობს ლევან ვეფხვაძე.

საკუთარი ინფორმაცია

მთავრობამ დაფინანსებული საწარმოების რუკა გამოაქვეყნა

მთავრობამ „შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში“ დაფინანსებული საწარმოების რუკა გამოაქვეყნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის კანცელარიიდან აცნობეს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იმ ახალშექმნილი და უკვე შექმნილი საწარმოების რუკა გამოაქვეყნა, რომლებიც მთავრობის მიერ „შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში“ ფინანსდება.

რუკა შედგენილია ქალაქების მიხედვით; წარმოდგენილი რუკის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, ყველა რეგიონში სხვადასხვა მიმართულებისა და წარმოების საწარმოთა განვითარება ფინანსდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ხელისუფლებისთვის სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებაა და უკვე რამდენიმე თვეა, წარმატებით ხორციელდება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელიც ფინანსურ რესურსზე ფერმერთა ხელმისაწვდომობას აადვილებს.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ანგარიშის პრეზენტაცია

დღეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ მონიტორინგის შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართება. ანგარიშს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ „რედისონ ბლუ ივერიაში“ წარადგენს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე დიალოგი 2012 წლის 4 ივნისს დაიწყო. 2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ხელისუფლებას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა გადაეცა. სამოქმედო გეგმა იმ მოთხოვნებს შეიცავს, რომლებიც ქართულმა მხარემ უნდა შეასრულოს, რათა საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის დამყარება შესაძლებელი გახდეს. სამოქმედო გეგმა ოთხი ბლოკისაგან შედგება და შუალედურ ანგარიშში მოცემულია ქართული მხარის მიერ სამოქმედო გეგმის პირველი ორი ბლოკის შესრულების მონიტორინგის შედეგები 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით.

ანგარიში მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოსა“ და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

IDFI მოსამართლეების შემოსავლების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მოსამართლეთა სარგოები შემდეგნაირად განისაზღვრება:

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სარგოს სახით 5650 ლარს იღებს, პირველი მოადგილე - 5100 ლარს, მოადგილე - 4800 ლარს; უზენაესი სასამართლოს მოსამართლე - 4400 ლარს; სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 4200 ლარს, მოადგილე - 3300 ლარს; სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარე - 2900 ლარს; სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 2500 ლარს; რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - 2500 ლარს; რაიონული სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 2400 ლარს; რაიონული სასამართლოს მოსამართლე - 2300 ლარს; რეზერვში მყოფი მოსამართლეები კი 500 ლარს.

IDFI-ის ინფორმაციით, პრაქტიკაში, კანონით დადგენილი თანამდებობრივი სარგოების გარდა, მოსამართლეები ასევე იღებენ პრემიებსა და დანამატებს, რაც მათ სარგოებთან შედარებით შეიძლება, 35 პროცენტიდან 135 პროცენტამდე მერყეობდეს.

„2012 წლის მანძილზე არსებული მდგომარეობით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რომ ჩვეულებრივ, მოსამართლეების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 1.35-2.35-ჯერ აღემატება მათ სარგოებს,“ - ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში.

მათივე ინფორმაციით, 2012 წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის ყოველთვიური შემოსავალი, საშუალოდ, 10960 ლარს შეადგენდა, პირველი მოადგილის ზაზა მეიშვილის - 7262 ლარს, მოადგილის მიხეილ ჩინჩალაძის კი - 9543 ლარს.

„როგორც მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაციებიდან მოყვანილმა მონაცემებმა აჩვენა, პირველი ინსტანციის მოსამართლეების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს, დაახლოებით, 3 400 ლარს, სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეებისა - 3 800 ლარს, ხოლო უზენაესი სასამართლოს - 6200 ლარს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იმავე ინსტანციის მოსამართლეები თანაბარი თანამდებობრივი სარგოს პირობებში იღებენ განსხვავებული ოდენობის შემოსავლებსაც, ვინაიდან მათ მიერ მიღებული დანამატები და პრემიები განსხვავებული ოდენობისაა. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ხატია არდაზაშვილის სამუშაოს შესრულებით მიღებულმა წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 27 301 ლარი, ხოლო იმავე კოლეგიის მოსამართლის მირანდა ერემაძის შემოსავალმა - 47 935 ლარი. მსგავსი მდგომარეობაა პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოებშიც,“ - ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში და აღნიშნულია, რომ 2013 წლის 1 ოქტომბერს პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის შეხვედრაზე იუსტიციის საბჭოს მდივან ლევან მურუსიძესთან გადაწყდა, რომ მოსამართლეებს, სასამართლოს აპარატის და იუსტიციის საბჭოს თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ.

გამჭვირვალობას
მოაქვს ნდობა

www.cesko.ge

სხვისი ომი და ჩვენი პლანეტა

პირველი გვერდიდან

ზაზა ურუშაძის „მანდარინების“ გმირები სწორედ ამ უკანასკნელის ორ მხარეს დგანან.

ალფონსო კუარონის „გრავიტაცია“ უკვე აღიარებულია წლის სენსაციად და ფილმი ზუსტად ამართლებს მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული კრიტიკოსებისგან მიღებულ შეფასებებს. თუ „მანდარინები“ ძალიან მიწიერ ამბავს გვიყვება, „გრავიტაციას“ სულ სხვა პლანეტაზე გადავყავართ, პირველივე კადრიდან (რამდენიმე წუთიანი კადრი ერთი ფილმის ტოლფასია!) კი ყველა იმ საზღვარსა და მავთულხლართს შლის, რომლებსაც კაცობრიობა ერებად, ენებად, რელიგიებად დაყოფის წამიდან ავლებს. აქ ასტრონავტები ღია კოსმოსში ლივლივებენ, მთელი დედამიწა მათ ფეხქვეშაა დაგებული, წამიერად შეუძლიათ დღიდან ღამეში გადანაცვლება, მზე კი თითქოს მხოლოდ მათთვის ამოდის. და სწორედ მაშინ, როდესაც ბოლომდე შეიგრძნობენ, რომ ეს პლანეტა ერთიანი, მთლიანი სხეულია და რომ რეალურად აქ ხაზებს მხოლოდ მდინარეები და მთაგრეხილები ავლებს, ყველაზე მეტად უნდებათ შინ, თავიანთ შემოსაზღვრულ, დაცულ, სხვა ქვეყნებთან მეომარ თუ ცუნამით გადარეცხილ სამშობლოში დაბრუნება, რადგან ოდესღაც მათაც შეხვდათ მანდარინის ერთი ცალი ლებანი.

ზაზა ურუშაძის ფილმის გმირების კუთვნილი ლებანი ძალიან მჟავე, ცოტა უმწიფარიც აღმოჩნდა, რადგან მისთვის მებრძოლი ჯარისკაცებიც კი პატარა ბავშვებს ჰგვანან. ჯარისკაცი კი ორია - ქართველი ნიკა (მიშა მესხი) და აფხაზების მხარეს მებრძოლი დაქირავებული ჩეჩენი აჰმედი (გიორგი ნაკაშიძე). ნიკას ჯარისკაციც კი არ ეთქმის, სცენიდან პირდაპირ ბრძოლის ველზე აღმოჩნდა. სცენაზე დგას აჰმედიც - ის ჰონორარს ქართველების დახოცვისთვის იღებს, რადგან ეს მისი ომი არაა, სხვის ომში კი ყველაფერი გამართლებულია.

სხვისი ომის თემა კიდევ ორ პერსონაჟს ეხება, ორ ესტონელ გლეხს, რომელთა ფილმში გამოჩენაც ბევრისთვის უცნობ, უფრო მეტისთვის კი დავიწყებულ ფაქტს შეგვახსენებს: აფხაზეთში ოდესღაც ესტონური სოფლები არსებობდა. მათი მოსახლეობა ესტონეთის მაშინდელმა მთავრობამ ომის დაწყებისთანავე ისტორიულ სამშობლოში დააბრუნა, თუმცა რამდენიმე მათგანმა აქაურობის მიტოვება არ ისურვა. არ ისურვეს ივომ და მარგუსმაც (მათ როლებს ცნობილი ესტონელი მსახიობები ლემბიტ ულფსაკი და ელმო ნუგანენი ასრულებენ). ისინი 1992 წლის გვიან შემოდგომაზე იმ საქმის დასრულებას ცდილობენ, რომელსაც წლების განმავლობაში ამ მიწაზე ცხოვრებისას აკეთებდნენ: მარგუსი მანდარინს კრეფს, ივო კი მათ ჩასაწყობ ყუთებს ჭედავს - თითქოს სისხლით დამბალ მიწაზე გაზრდილ პატარა მზეებს მომცრო კუბოებში ასვენებს.

სწორედ ამ დროს კი რაიან სტოუნი ღია კოსმოსში გასვლის უიღბლო დებიუტის შემდეგ პირდაპირი მნიშვნელობით ცასა და დედამიწას შორისაა დარჩენილი. უკვე იცის, რომ მისთვის კუბოს არავინ გააკეთებს, მისი სხეული კი სამუდამოდ შავ და დაუსრულებელ სიღრმეში უმისამართოდ იფრენს. მისთვის მიწის განცდა ნელ-ნელა აზრს კარგავს, მაგრამ მანდარინის გემო არა და არ ტოვებს და ოდესღაც მისთვის განკუთვნილ მიწის ნაგლეჯზე ფეხის დასადგმელად სიკვდილის ხელებიდან გამოგლეჯასაც ბედავს.

სიკვდილის შიში კი ნიკას საკუთარ მიწაზე ვერ ადგმევინებს ფეხს. არადა, სწორედ, მის დასაცავადაა ჩამოსული, თავად კი სულ სხვა მიწიდან ოდესღაც ჩამოსახლებული ადამიანების დასაცავი ხდება. აქ მისი მთავარი მტერი ჩეჩენი აჰმედია, რომელიც მათ მხარეს იბრძვის, ვინც სულ მალე მის მიწაზე ქვას ქვაზე არ დატოვებს. მაგრამ ამის შესახებ ჯერ აჰმედმა არაფერი იცის, მას ჯერ მხოლოდ სხვის ომში ბრძოლისთვის მიღებული ჰონორარის გემო აქვს გასინჯული. აჰმედმა ჯერ ისიც არ იცის, რომ ამ ფულით გასაზრდელ შვილებს მისივე დამქირავებელი დაუხოცავს, ცოლს გაუბახებს, ეკლიანი მავთულით შემორკალულ სამშობლოს გადაუბუგავს და მისთვის მალე ყველაფერი ისევე სულ ერთი გახდება, როგორც რაიან სტოუნისთვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ქვეყნის მიწას შეიგრძნობს ფეხქვეშ, როდესაც მთელ სამყაროზე გამარჯვებული წყლით სავსე კაფსულიდან დაიბადება და ცისკენ მხოლოდ იმისთვის აიხედავს, რომ ადამიანებსა და ღრმა უსასრულობას შორის კიდევ ერთხელ გაავლოს ერთადერთი აუცილებელი საზღვარი.

საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

დღეს, 16 ოქტომბერს, 10:30 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შემაჯამებელი პრესკონფერენცია.

პრესკონფერენციას გამართავენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის დირექტორი ქეთევან კიღურაძე.

პირველად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველომ მნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა, გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემია ახალგაზრდულ ლიტერატურაში გადაეცათ თამთა მელაშვილსა და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანს რომანისთვის „გათვლა“.

ფრანკფურტის ვიზიტის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტროს დელეგაციამ მინისტრის ხელმძღვანელობით ოფიციალური შეხვედრა გამართა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მესვეურებთან, იურგენ ბოსსა და ტობიას ვოსთან. მხარეებმა ისაუბრეს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ; შეხვედრაზე ასევე, შეთანხმდნენ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოებისა და იმ ვალდებულებების შესახებ, რაც საქართველომ წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის მიმართულებით უნდა განახორციელოს.

გაიმართა შეხვედრა ლონდონის წიგნის ბაზრობის დირექტორთან ქალბატონ ჯექს ტომასთან და ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლებთან, ლონდონის წიგნის ბაზრობასთან სამინისტროს სამომავლო თანამშრომლობის შესახებ. 24საათი

ავღანეთის პროვინციის გუბერნატორი მეჩეთზე თავდასხმისას მოკლეს

ავღანეთის პროვინცია ლოგარის გუბერნატორი არსალა ჯამალი მეჩეთზე მომხდარ თავდასხმას ემსხვერპლა. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, დაშავდა 15 ადამიანი, რამდენიმე მათგანის მდგომარეობა მძიმეა. გუბერნატორის წარმომადგენლის თქმით, თავდასხმა პროვინციის მთავარ მეჩეთზე მოხდა. ამ დრომდე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას აუღია. ჯამალი ამ თანამდებობაზე სულ 6 თვე მუშაობდა.

«რუსეთში რადიკალური ნაციონალიზმის ზრდა ფიქსირდება"

ევროსაბჭოს რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კომისიამ რუსეთში არსებული ვითარების შესახებ მორიგი მოხსენება გამოაქვეყნა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ქვეყანაში რადიკალური ნაციონალიზმი გაიზარდა, თუმცა რასისტულ ნიადაგზე მომხდარი თავდასხმების რაოდენობა შემცირდა. ევროსაბჭოს ამ ორგანიზაციის მოხსენებაში დადებითად არის შეფასებული რუსეთის მიერ 2006 წლის მსგავსი მოხსენების რეკომენდაციების შესრულება. რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კომისია მონიტორინგს ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში ახორციელებს.

სამშაბათს გამოქვეყნებულ მოხსენებაში საუბარია, რომ რეკომენდაციების ნაწილი, რომელიც რუსეთის ფედერაციამ მიიღო, შესრულდა, ზოგიერთ საკითხში კი ვითარება გამოსწორდა. თუმცა, დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთში რადიკალური ნაციონალიზმის მატება და «არასლავური გარეგნობის“ პირთა მიმართ ძალადობის ზრდა ფიქსირდება.

ალ-ლიბი ნიუ-იორკში ჩაიყვანეს და საავადმყოფოში მოათავსეს

«ალ ქაიდას“ წამყვანი ფიგურა აბუ ანას ალ-ლიბი (ნამდვილი სახელი - ნაზიხ აბდელ ჰამიდ არ-რაგია), რომელიც ამერიკის სპეცრაზმმა ცოტა ხნის წინ ლიბიაში ჩაიგდო ხელში, ნიუ-იორკში გადაიყვანეს. ამის შესახებ ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტმა განაცხადა. ალ-ლიბი ამერიკაში შაბათს ჩაიყვანეს და ნიუ იორკის სამხრეთ ოლქში სასამართლოს წინაშე დღეს უნდა წარდგეს. იქ მას დაუსწრებლად უკვე წაუყენეს ბრალი 10 წელზე მეტი ხნის წინ. 49 წლის ალ-ლიბი 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ამერიკის საელჩოებზე მომხდარი თავდასხმების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. მას ამერიკელი მაღალჩინოსნები მსოფლიოში „ძიებაში ყველაზე უფრო მეტად მყოფ ტერორისტად“ ახასიათებდნენ, თუმცა დაკავებულის მეუღლე აცხადებს, რომ მისმა ქმარმა «ალ ქაიდა“ აღნიშნულ ტერაქტებამდე ორი წლით ადრე დატოვა. ამჟამად ალ-ლიბი საავადმყოფოშია მოთავსებული, რადგან აღმოჩნდა, რომ ის C-ჰეპატიტის მძიმე ფორმით არის დაავადებული.

ბაშარ ალ-ასადი: «ნობელის მშვიდობის პრემია მე მეკუთვნოდა"

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა, რომელსაც საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებაში ადანაშაულებენ, ლიბანურ გაზეთს ხუმრობით განუცხადა, რომ ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, რომელიც ცოტა ხნის წინ ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას მიანიჭეს, მას უნდა მიეღო. ამ ორგანიზაციას ნობელის პრემია, მათ შორის, სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების დაწყების გამო მიენიჭა. «ეს პრემია მე უნდა მიმეღო“ - იხუმრა ასადმა, როდესაც ჟურნალისტმა მას ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ ჰკითხა.

ვილნიუსის სამიტამდე ნატო რუსეთის საზღვრებთან წვრთნებს ჩაატარებს

ნოემბერში ვილნიუსში დაგეგმილ ევროკავშირის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე ნატო რუსეთის საზღვრებთან ფართომასშტაბიან წვრთნებს ჩაატარებს. სამხედრო სწავლებაში სახელწოდებით «Steadfast Jazz“ ალიანსის 6000 ჯარისკაცი მიიღებს მონაწილეობას. წვრთნები 2-9 ნოემბერს პოლონეთსა და ბალტიის ზღვის რეგიონში გაიმართება. «Euobserver“-ის ცნობით, წვრთნებში 100 უკრაინელი სამხედროც მიიღებს მონაწილეობას. ბოლო პერიოდში უკრაინასა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა. ამ ერთობლივი წვრთნების გარდა, უკრაინა ავღანეთში ნატოს მისიაშიც მონაწილეობს. ნატოს გარდა, წინ მიიწევს უკრაინისა და ევროკავშირის ურთიერთობაც. 28 ნოემბერს, ლიტვაში უკრაინასა და ამ ორგანიზაციას შორის პოლიტიკური ასოციაციისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერას ვარაუდობენ. ეს კი წერტილს დაუსვამს რუსეთის იმ გეგმას, რომელიც უკრაინის „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანებას გულისხმობს.

ნატოს წვრთნების შესახებ კომენტარის მისაღებად «Euobserver“-მა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან დაკავშირება ვერ შეძლო. თუმცა, ცოტა ხნის წინ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანატოლი ანტონოვმა «Steadfast Jazz“-ს «ცივი ომის სულისკვეთების“ მანევრები უწოდა. ონლაინ გაზეთის შეკითხვაზე - ნატოს წვრთნები ვილნიუსის სამიტის წინ ატმოსფეროს კიდევ ხომ არ გააუარესებს, ნატოს მაღალჩინოსანმა უპასუხა: «ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. ნატოს წვრთნების ადგილი და დრო დიდი ხნით ადრე იყო განსაზღვრული და ამის შესახებ ჩვენმა რუსმა პარტნიორებმაც იცოდნენ.“

«EUobserver“-ი აღნიშნავს, რომ ვილნიუსის სამიტთან დაკავშირებით რუსეთის ქმედება მის სიტყვებზე «უფრო ხმამაღლა“ მეტყველებს - აგვისტოში რუსეთმა რამდენიმე კვირით პრობლემები შეუქმნა უკრაინის გადამზიდავ ფირმებს, ოქტომბრის დასაწყისში ლიტვური რძის პროდუქცია აკრძალა, ცოტა ხნის წინ კი, იალტაში შეხვედრისას პრეზიდენტმა პუტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ თუ უკრაინა ევროკავშირის პაქტს ხელს მოაწერს, რუსეთი «დამცავ ზომებს“ მიმართავს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ჟენევაში ირანთან „ექვსეულის“ მოლაპარაკებები განახლდა

პირველი გვერდიდან

ეს მოლაპარაკებები წინა წლებშიც იმართებოდა, თუმცა ბოლო 4-5 წელია, მათზე რეალური პროგრესი არ დაფიქსირებულა. პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმნადინეჯადის ვადის ამოწურვამდე, დაახლოებით, ნახევარი წლით ადრე კი საერთოდ შეწყდა. ახალარჩეული პრეზიდენტის ჰასან როუჰანის მიერ თანამდებობის დაკავების შემდეგ ირანის რიტორიკა შეიცვალა. ამისი პირველი სერიოზული ნიშნები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე როუჰანის გამოსვლისა და ამავე ფორუმის ჩარჩოებში მისი ორმხრივი შეხვედრების დროს გამოჩნდა. იქვე, ნიუ-იორკშივე შედგა ირანი-»ექვსეულის» საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, სადაც ირანს „ექვსეულისგან“ საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნების პაკეტი გადაეცა. გუშინდელ შეხვედრაზე ირანს პასუხი ამ წინადადებებზე უნდა გაეცა ან პრობლემის მოგვარების საკუთარი პროგრამა წარმოედგინა. ირანის წარმომადგენლების მიერ შეხვედრის წინა დღეებში გაკეთებული განცხადებების თანახმად, ოფიციალური თეირანი სწორედ ამ მეორე ვარიანტისკენ იხრებოდა ანუ საკუთარი წინადადებების პაკეტი მოამზადა.

ირანის მხრიდან მოლაპარაკებების წარმოებაზე პასუხისმგებელია საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამედ ჯავად ზარიფი - ენერგიული დიპლომატი, რომელსაც განათლება აშშ-ში აქვს მიღებული. ადრე ის იყო ირანის წარმომადგენელი გაეროში. რეალურად, მოლაპარაკებების მაგიდასთან, ძირითადად, მისი მოადგილე აბას არაკჩი იჯდება.

ამ რაუნდზე დიალოგში გარღვევას არც ერთი მხარე არ ელოდება. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, რომელიც პრეზიდენტ როუჰანის ეკუთვნის, მოლაპარაკებები სამი-ექვსი თვე გაგრძელდება. ამ შეხვედრაზე, უკეთეს შემთხვევაში, მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდებისა და პრობლემის მოგვარებისთვის გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯების ე.წ. „საგზაო რუკის“ შეთანხმება მოხერხდება. ეს აზრი მოჰამედ ჯავად ზარიფმა გამოთქვა.

პრობლემის არსი კარგად არის ცნობილი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის. საერთაშორისო თანამეგობრობა ეჭვობს, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნა სურს და მშვიდობიანი პროგრამა ამისი საფარველია. ირანი მილიტარისტულ გეგმებს უარყოფს, მაგრამ არც გაეროს და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს უშვებს ფორდოში ურანის გამამდიდრებელ ახალ ქარხანაში და სხვა რამდენიმე სამხედრო ობიექტზე. „ექვსეული“ ირანისგან მოითხოვს ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრების შეწყვეტას, ასევე საეჭვო ობიექტებზე დაშვებას. წინა წლებში იყო ასეთი წინადადებაც, რომ ირანს საკუთარი 5 პროცენტამდე გამდიდრებული ურანი სხვა ქვეყნებისთვის გადაეცა მათგან 20 პროცენტამდე გამდიდრებული მზა ურანის მიღების სანაცვლოდ. ამ წინადადების არსი ის არის, რომ ირანს ურანის გამამდიდრებელი ტექნოლოგიების შექმნა და განვითარება აღარ დასჭირდებოდა. უცხოეთიდან მიღებულ გამდიდრებულ ურანს კი კონკრეტული ფორმა და დანიშნულება ექნებოდა, რომელიც მხოლოდ მშვიდობიან ობიექტებში გამოსაყენებლად ივარგებდა. მაშინ ირანმა ეს წინადადება უარყო და ამის შესახებ ბოლო ორი წლის განმავლობაში აღარავის ულაპარაკია. შესაძლოა, ეს წინადადება „ექვსეულის“ მიერ ირანისთვის სექტემბერში გადაცემულ პაკეტში ისევ გაჩნდა, რადგან მოლაპარაკებებამდე ერთი დღით ადრე ირანმა ურანის საკუთარი ტერიტორიის გარეთ გატანა გამორიცხა. საგრეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აბას არაკჩიმ განაცხადა, რომ ეს ირანისთვის „წითელი ხაზია“ და ამის განხილვა არ მოხდება. არადა, ორიოდე დღით ადრე ირანის პარლამენტის სპიკერმა ალი ლარიჯანიმ ეს, თითქოს, არ გამორიცხა. კონსერვატორი ლარიჯანისგან ეს ყველაზე მეტად მოულოდნელი იყო, თუმცა მისი ეს სიტყვები პარლამენტის წარმომადგენელმა მოგვიანებით უარყო.

დასავლეთიც ირანისგან საქმეს მოითხოვს და არა სიტყვებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია მზად, ამ ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები შეარბილოს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კვირას განაცხადა, რომ „დიპლომატებისთვის შესაძლებლობების ფანჯარა გაიღო, მაგრამ მინდა, იცოდეთ, რომ ჩვენ თვალებიც ღია გვაქვს. სიტყვებს თან საქმე უნდა მოჰყვეს.“

ირანის წინაღმდგ სანქციების შერბილების კატეგორიული წინააღმდეგია ისრაელი. ამის შესაძლებლობას პრემიერმა ნეთანიაჰუმ „ისტორიული შეცდომა“ უწოდა. მისი აზრით, სანქციები არ უნდა შესუსტდეს მაშინ, როცა მათ, როგორც იქნა, შედეგის მოტანა დაიწყეს.

ობამასა და კონგრესის ლიდერების მოლაპარაკებები გადაიდო

ივა შილაკაძე

ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის საგანგებო შეხვედრა კონგრესის ორივე პალატის ფრაქციების ლიდერებთან, რომელიც ჩვენი დროით სამშაბათს ღამე უნდა შემდგარიყო, გადაიდო. ჯერჯერობით მოლაპარაკებები სენატში დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ფრაქციებს შორის მიმდინარეობს, რათა პრეზიდენტთან შეხვედრამდე მიღწეულ იქნეს კომპრომისი და საკითხი უკეთ მომზადდეს. გუშინ ობამასთან კონგრესმენებს შეხვედრის ახალი თარიღი ჯერ არ იყო გამოცხადებული. პარალელურად, ქვეყანაში მუშაობა განაახლა რამდენიმე ტურისტულმა ღირსშესანიშნაობამ, რომლებიც აშშ-ს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო დაიკეტა. ამ ობიექტებს ფედერალური ბიუჯეტის მიღებამდე დროებით შტატების ბიუჯეტებიდან გამოყოფილი ფულით დააფინანსებენ.

კვირას სახელმწიფო სესხის ზედა ზღვრის აწევის შესახებ აშშ-ს კონგრესის ორივე პარტიის ლიდერების მოლაპარაკებები კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. მხარეებზე იმ საშიშროებამაც ვერ მოახდინა გავლენა, რომ ორშაბათიდან, საფონდო ბაზრების გახსნისთანავე საბირჟო ინდექსების შემდგომი ვარდნა იყო მოსალოდნელი.

სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა ჰარი რიდმა რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერ მიტჩ მაკკონელთან სატელეფონო საუბარს პროდუქტიული უწოდა. თუმცა მათ ჯერ მაინც ვერ მოახერხეს სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის - 16,7 ტრილიონი დოლარის გაზრდაზე შეთანხმება. რესპუბლიკელმა სენატორმა სუზან კოლინზმა აღიარა, რომ შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის, თუმცა სენატორები მას უახლოვდებიან.

ეს ზღვარი დიდი ხანია მიღწეულია - ჯერ კიდევ მაისში, უბრალოდ, აქამდე ფედერალურ ხელისუფლებას ჰქონდა რეზერვები საგანგებო შემთხვევებისთვის და ვალებს ისტუმრებდა. ფინანსთა მინისტრმა ჯეკ ლიუმ განაცხადა, რომ სახელმწიფოს 17 ოქტომბრისთვის ყველა რეზერვი ეწურება. (ამის შესახებ დაწვრილებით წერდა «24 საათი“).

ამ კრიტიკული თარიღის მოახლოებას, როდესაც შესაძლოა, სახელმწიფო ვალის გადაუხდელობის გამო «ტექნიკური დეფოლტი“ გამოცხადდეს, ახლა უკვე დემოკრატები იყენებენ რესპუბლიკელების წინააღმდეგ და ცდილობენ, უარი ათქმევინონ იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ამ უკანასკნელებმა ბიუჯეტის შემცირების შესახებ წამოაყენეს. სახელმწიფო ხარჯების სეროზული შემცირებები ძალაში შევიდა 2013 წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც დემოკრატებმა და რეპუბლიკელებმა ვერ მოილაპარაკეს. ცხადია, არავის სურს, დეფოლტის გამოცხადებაში «მთავარი დამნაშავე“ გამოვიდეს.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სენატში მიმდინარე მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ბოლო შანსია დეფოლტის თავიდან ასაცილებლად, რადგან წინა კვირაში ობამასა და წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელთა ლიდერების მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. მხარეებმა ნაწილობრივ დახურული ფედერალური მთავრობის მუშაობის განახლებაზე ანუ აშშ-ს ბიუჯეტის დამტკიცებაზეც ვერ მოილაპარაკეს.

ბოლო დღეებში სულ უფრო ხშირად გაისმის გაფრთხილებები, რომ აშშ-ს დეფოლტი დანარჩენ მსოფლიოსაც გაუთვალისწინებელ ეკონომიკურ შედეგებამდე მიიყვანს. კვირას საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა კრისტინ ლაგარდმა განაცხადა, რომ საკუთარი ვალის მომსახურების თვალსაზრისით აშშ-ს მიმართ ნდობის დაკარგვა მთელი მსოფლიოს ფინანსურ სექტორში სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევს.

აშშ-ს კონგრესის ზედა და ქვედა პალატები მეორე პალატის მიერ მიღებული პროექტის დამტკიცებაზე უარს აცხადებენ. სენატში დემოკრატები არიან უმრავლესობაში, წარმომადგენელთა პალატაში - რესპუბლიკელები. რესპუბლიკელები ისევ ჯანდაცვის რეფორმის ძირითადი ნაწილის, აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის შემოღების ერთი წლით გადავადებას მოითხოვენ. ობამა კი ამაზე არ მიდის.

მთავრობის მუშაობის დროებით შეჩერება, ცხადია, უპირველესად პარკებს, მუზეუმებს და სხვა მსგავს, ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით მეორეხარისხოვან ფედერალურ ობიექტებს შეეხო. თუმცა ეს ეკონომიკური, უმთავრესად კი ტურისტული შემოსავლის მიღების მხრივ იმდენად წამგებიანი აღმოჩნდა, რომ რამდენიმე შტატის ხელისუფლებამ ქვეყნის მთავრობას მათ ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების მუშაობის განახლება სთხოვა. შტატების ხელისუფლება მათი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების პირობას დებს იმ დრომდე, სანამ ფედერალური ბიუჯეტი არ დამტკიცდება. ამ სქემით ორშაბათს კვლავ გაიხსნა თავისუფლების ქანდაკება და მისი მიმდებარე პარკი, რომელიც ნიუ-იორკის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ფედერალურ მთავრობასთან არიზონასა და სამხრეთ დაკოტას შტატებმაც შეათახმეს შესაბამისად დიდი კანიონისა და მთა რაშმორის (რომელზეც ოთხი პრეზიდენტის გამოსახულებაა ამოკვეთილი) გახსნის საკითხი.

ძლიერი მიწისძვრა ფილიპინებზე

პირველი გვერდიდან

მათ შორის სებუს პორტი და ბაზარი, ადგილობრივი ადმინისტრაციის რამდენიმე შენობა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში და რამდენიმე ისტორიული ნაგებობა ტაძრების და სამრეკლოების ჩათვლით. ბოჰოლის გუბერნატორ ედგარდო ჩატოს სიტყვებით, სერიოზულად დაზიანდა ადმინისტრაციის შენობა, აგრეთვე მე-16 და მე-17 საუკუნის კათოლიკური ტაძრები, რომლებიც არქიტექტურულ ძეგლებად მიიჩნევა. სებუში დაზიანდა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი - სანტო-ნინიოს ტაძრის სამრეკლო. სებუსა და ბოჰოლის პროვინციებში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა, გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა

სამი ადამიანი დაიღუპა ჭყლეტაში, როდესაც პანიკაში მყოფი ადამიანები სებუში სპორტული კომპლექსიდან გამოსვლას ცდილობდნენ. მიწისძვრა ფილიპინების ეროვნულ დღესასწაულს დაემთხვა, შესაბამისად, ბავშვები სკოლებში არ იყვნენ და ამან, სავარაუდოდ, ქვეყანას უფრო დიდი მსხვერპლი მნიშვნელოვნად ააცილა თავიდან.

სებუ ფილიპინებზე უძველესი და სიდიდით მეორე ქალაქია. ამ პროვინციაში 2,6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. დედაქალაქ მანილადან იქ მისასვლელად ერთი საათის ფრენაა საჭირო. სებუდან მეზობლად მდებარე კუნძულ ბოჰოლზე მოტორიანი ნავით შეიძლება მისვლა. ეს კუნძული ქვიშის ლამაზი პლაჟების გამო ტურისტებში ძალიან პოპულარულია.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

სფფ-ისა და ქომაგების ერთობლივი აქცია დვანში

15 ოქტომბერს სოფელ დვანში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ქართული სპორტის ქომაგების ერთობლივი აქცია გაიმართა.

აქციის სლოგანი იყო - „გამოექომაგე საქართველოს“. მონაწილეებმა სოფელ დვანში გაბმულ მავთულხლართებთან მდუმარე აქცია მოაწყვეს, შემდეგ კი სოფლის სტადიონზე გადაინაცვლეს და სიმბოლური საფეხბურთო მატჩი გამართეს.

ამ აქციის ჩატარების იდეა სფფ-ის პრეზიდენტისა და ქომაგების ერთ-ერთი შეხვედრისას გაჩნდა.

დვანში თავად ზვიად სიჭინავაც იმყოფებოდა. მგზავრობის ხარჯები და აქციის მონაწილეების სხვადასხვა საჭირო ატრიბუტიკით აღჭურვა ფეხბურთის ფედერაციამ თავის თავზე აიღო.

ქომაგებმა კი გულშემატკივართა მობილიზება მოახდინეს. სასიამოვნოა, რომ, მათი ძალისხმევით, აქციაში რუსთაველი, ქუთაისელი, ზუგდიდელი, გორელი და ლანჩხუთელი ქომაგებიც მონაწილეობდნენ.

საფეხბურთო მატჩის დასრულების შემდეგ აქციის მონაწილეებმა ადგილობრივ მოსახლეობას საჩუქრად გადასცეს დროშები, ბურთები და მაისურები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, 6 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურის მატჩები სწორედ დიცისა და დვანის მოსახლეობის მხარდამჭერი სლოგანით გაიმართა.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყოველთვის მზადაა, გვერდში დაუდგეს ყველა შეთავაზებას, რომელიც ამ სოფლებისა და ჩვენი ქვეყნის გვერდში დგომას ეხება. ჩვენი პოზიცია საქართველოს მხარდაჭერაა“, - განაცხადა სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ.

სფფ-ის პრესსამსახური

17 წლამდელები ევროშესარჩევს იწყებენ - ვარჯიშები, ტურნირის გრაფიკი...

17 ოქტომბრიდან საქართველო უეფას 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს უმასპინძლებს. ნოდარ აკობიას გუნდი მე-11 ჯგუფში იასპარეზებს. მისი მეტოქეები იქნებიან ჰოლანდიის, ფარერებისა და სან მარინოს 17 წლამდელთა ნაკრებები.

ტურნირის ფორმატის თანახმად, შესარჩევის ქვეჯგუფებიდან ელიტრაუნდში ორ-ორი საუკეთესო გადავა. 17 წლამდელთა ასაკში საქართველო უკვე მეორედაა ამ შესარჩევი ეტაპის მასპინძელი. ელიტრაუნდი კი ჯერ მხოლოდ ერთხელ ჩავატარეთ.

საქართველოს ნაკრებმა დასკვნითი საწვრთნელი შეკრება ზუგდიდში, «ბაიას“ ბაზაზე გაიარა.

თბილისს ყველაზე ადრე ფარერების კუნძულების 17 წლამდელთა ნაკრები ეწვია. კუნძულელები 14 ოქტომბერს ჩამოვიდნენ. თბილისშია ჰოლანდიის ნაკრებიც. სანმარინოელები კი გუშინ გვიან ღამით ჩამოვიდნენ.

დღევანდელი სავარჯიშო გრაფიკი კი ასეთია:

10:30 - ჰოლანდიის 17 წლამდელთა ნაკრები მატჩისწინა ვარჯიშს »დინამო არენაზე“ გამართავს

12:00 - საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები ოფიციალურ ვარჯიშს მიხეილ მესხის სტადიონზე ჩაატარებს. ვარჯიშის პირველი 15 წუთი მედიისთვის ღია იქნება.

15:00 - ფარერების 17 წლამდელთა ნაკრები საფეხბურთო სკოლა «ოლიმპიკის“ მოედანზე ივარჯიშებს.

16:30 - სან მარინოს 17 წლამდელთა ნაკრების ვარჯიში საგურამოში.

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების 18-კაციანი სია და სხვა დამატებითი ინფორმაცია დღეიდან გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები თავის პირველ მატჩს 17 ოქტომბერს მიხეილ მესხის სტადიონზე, სან მარინოს წინააღმდეგ გამართავს. მატჩი 16:00 საათზე დაიწყება. მანამდე კი, 14:00 საათზე, «დინამო არენაზე“ ერთმანეთს შეხვდებიან ჰოლანდიისა და ფარერების ნაკრები გუნდები.

მარინ ჩილიჩი და ანტისადოპინგო პოლიტიკა მსოფლიო ჩოგბურთში

მარინ ჩილიჩი

დოპინგ-სკანდალის მორიგი ტალღა მსოფლიო ჩოგბურთში დასრულდა ხორვატი სპორტსმენის მარინ ჩილიჩის ცხრათვიანი დისკვალიფიკაციით.

მარინ ჩილიჩმა, როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადა, რომ აპირებს გაასაჩივროს თავისი დისკვალიფიკაცია, რომელიც მიიღო ორშაბათს მას შემდეგ, რაც მაისის დოპინგ-სინჯმა აჩვენა დადებითი შედეგი. მის ორგანიზმში აღმოჩნდა ნიკეტამიდი - აკრძალული პრეპარატი, რომელიც სპორტსმენმა მიიღო გლუკოზის შემცველი აბების მეშვეობით.

ჩოგბურთის მსოფლიო ფედერაციამ (ITF) აღნიშნა, რომ ხორვატს შეგნებულად არ ჰქონდა მიღებული დოპინგი. ამიტომ დისკვალიფიკაციის ვადად განესაზღვრა უფრო მცირე დრო, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ჩილიჩის საქმე აქტიურად გაშუქდა ხორვატულ პრესაში; ჩოგბურთელის ყოფილმა მწვრთნელმა, ბობ ბრეტმა განაცხადა, რომ იმედგაცრუებულია მოთამაშის უდარდელობით. ჩილიჩი არ გამოჩენილა უიმბლდონის შემდეგ, სადაც მას, როგორც ჩანს, აცნობეს დოპინგ-ტესტის შედეგები. მაშინ ხორვატი მოიხსნა მეორე რაუნდიდან მუხლის ტრავმის მომიზეზებით.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩილიჩი შეგნებულად ატყუებდა მასმედიას თავისი ტრავმის შესახებ? შეიძლება სპორტსმენს უბრალოდ ურჩიეს მოხსნილიყო შეჯიბრებიდან, რათა თავიდან აეცილებინა წინასწარი დისკვალიფიკაცია მისი საქმის ოფიციალური განხილვის დაწყებამდე? საინტერესოა, ანალოგიურ სიტუაციაში სხვა სპორტსმენებიც ხომ არ იქცევიან ასე და თუ ეს ასეა, რამდენად შეიძლება მათ სიტყვაზე ნდობა? ეს ე.წ. „უთქმელი დისკვალიფიკაცია“ ჩოგბურთში ანტისადოპინგო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი ასპექტია. თვით ამ პოლიტიკასაც დიდი ხნის განმავლობაში ატარებდნენ კრიტიკის ქარ-ცეცხლში. ახლა დოპინგის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში დიდი ფული იდება, შემოაქვთ მოთამაშეთა ბიოლოგიური პასპორტები (დაფუძნებული სისხლის მდგომარეობის მონიტორინგზე და არა ჩაგდებულ დოპინგ-სინჯებზე). მთლიანობაში ეს ცუდი არ არის და ნიშნავს, რომ საჩოგბურთო ხელმძღვანელობა უფრო ღრმად ჩასწვდა დოპინგის პრობლემას.

რასაკვირველია, არავინ უარყოფს უდანაშაულობის პრეზუმპციას, ITF იღებს ინდივიდუალურ სანქციებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ამის საფუძველი არსებობს. მაგრამ ჩილიჩის შემთხვევაში საქმე გვაქვს ბრეტის ზეპირ განცხადებასთან, ხორვატული პრესის მოსაზრებასთან და სპორტსმენის დიდი ხნით გაუჩინარებასთან შეჯიბრებებიდან. ყველაფერი ისედაც გასაგები იყო. მით უმეტეს, რომ, US Open-ის ორგანიზატორთა განცხადებით, ხორვატის უარი ტურნირში მონაწილეობაზე მოტივირებული იყო პირადი მიზეზებით და არა ტრავმით.

თუ კეთდება ოფიციალური განცხადება, რომ განიხილება საქმე ჩაგდებული დოპინგ-ტესტის თაობაზე, ყოველთვის არის ჩოგბურთელის რეპუტაციის რისკი, მით უფრო, თუ ადრე მის შესახებ მსგავსი არაფერი იყო ცნობილი. ამდენად, არსებობს პრაქტიკა, რომ სპორტსმენს ეძლევა დისკვალიფიკაცია, რომლის ვადაშიც უკვე შესულია ის დრო, როდესაც ის გამოკლებული იყო ტურის შეჯიბრებას გამოძიების პერიოდში. ITF -ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამის შეცვლას არ აპირებენ და ყველაფერი ძველებურად დარჩება.

თუ მივუბრუნდებით ჩილიჩის სიტუაციას, ნიკეტამიდი არ არის ფართოდ ცნობილი მსოფლიო ჩოგბურთში, თუმცა, სამართლიანად მოხვდა აკრძალული ნივთიერებების სიაში (კოკაინის მსგავსად, აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ შეჯიბრებების პერიოდში). მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სპრინტერი ტორი ევანასი 2004 წელს გამოააშკარავეს ნიკეტამიდის ხმარებაში და შედეგად დაიმსახურა ორწლიანი დისკვალიფიკაცია. ადრე ეს პრეპარატი აქტიურად გამოიყენებოდა ცხენოსნობაში.

რასაკვირველია, სპორტსმენი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რა ხვდება მის ორგანიზმში. ალბათ, ჩილიჩი იმსახურებს უფრო მეტ სიმპათიას (დისკვალიფიკაციის მცირე ვადა ამის დასტურია), ვიდრე ვიქტორ ტროიკი, რომელმაც, ITF -ის ცნობით, უარი განაცხადა ტესტის გავლაზე. WADA და სხვა პასუხისმგებელი ორგანოები ვალდებული არიან მიაწოდონ აუცილებელი ინფორმაცია ჩოგბურთელებს, ხოლო თვით ჩოგბურთელები, სულ მცირე, ყურადღებით გაეცნონ მას.

ესპანეთში შერმადინისა და სანიკიძის ტანდემი თვალშისაცემია

ესპანურმა „მარკამ“ ქვეყნის უმაღლესი საკალათბურთო ჩემპიონატის - ACB ლიგის (იგივე ენდესა ლიგის) პირველი ტურის ათი საუკეთესო ვარსკვლავი დაასახელა და მასში ორი ქართველია - „სარაგოსას“ ახალწვეულები გიორგი შერმადინი და ვიქტორ სანიკიძე. შერმადინი სიაში მეორეა, სანიკიძე - მერვე.

მოწინავეთა სიაში შერმადინის მოხვედრა გასაკვირი არ არის - პირველ ტურში „ბილბაო ბასკეტის“ დამარცხებაში (86:77) მას ლომის წილი მიუძღვის - „სარაგოსას“ ქართველი ლეგიონერი თანაკლუბელებს 20 ქულით, 7 მოხსნით და 2 პასით შეეწია და მატჩის საუკეთესო კალათბურთელადაც დაასახელეს.

„სარაგოსამ“ შერმადინის შეძენით დიდი საქმე გააკეთა. ქართველმა პირველივე შეხვედრაში დაამტკიცა, რა შეუძლია. გიორგი დომინირებდა ფარზე, დაცვასა და შეტევაში. მას კარგად შეუძლია მოხსნა და სროლა ახლო მანძილიდან (თამაშიდან ყველა სროლა გამოიყენა). გარდა ამისა, კარგი წყვილი შექმნა თანამემამულე ვიქტორ სანიკიძესთან ერთად“, - ასე აქებს შერმადინს „მარკა“.

„ბილბაო ბასკეტის“ წინააღმდეგ კარგად ითამაშა სანიკიძემაც, რომლის ანგარიშზე 29,2 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასია, რომელსაც ასევე აქებს ესპანური გამოცემა: „ტურნირი ძალიან კარგად დაიწყო. მძიმე ფორვარდის კვალობაზე, შესანიშნავი უნარი გამოავლინა შორი მანძილიდან სროლაში. თვალშისაცემი იყო თანამემამულე შერმადინთან მისი ტანდემი“.

„მარკას“ ათეულში გიორგი შერმადინზე წინ „ლა ბრუიხას“ 18 წლის დანიელი ლეგიონერი რასმუს ლარსენია, რომელიც თანაკლუბელებს 21 ქულით და 13 მოხსნით შეეწია.

გარეთ ბეილი 91 მილიონადაა დაზღვეული

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი უელსელი გარეთ ბეილის სადაზღვევო თანხას ასახელებს, რომლის მიხედვით, ისეთი ტრავმის შემთხვევაში, რომელიც ბეილის კარიერას დაასრულებინებს, დაზღვევის თანხა 91 მილიონი ევრო იქნება.

„ამბობდნენ, რომ ბეილის ხერხემლის თიაქარი აქვს, მაგრამ ეს სიმართლე არ არის. ასე რომ იყოს, ჩვენ ამას დავადასტურებდით, - ამბობს პერესი. - ყველამ იცის, რომ მას წინასასეზონო მზადებისას გარკვეული პრობლემები ჰქონდა. გარდა ამისა, თეძოს ტრავმაც აწუხებდა. ახლა კი ის სრულ მზადყოფნაშია და 19 ოქტომბერს თამაშს გეგმავს“.

მილანის „ინტერს“ ინდონეზიელი განკარგავს

Football Italia-ს ცნობით, მილანის „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტი ინდონეზიელ ერიკ ტოხირს მიჰყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მილანური კლუბის განმკარგველი ინდონეზიელი იქნება. „ყველაფერი მოგვარებულია. უახლოეს ხანში საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცელი ინფორმაცია გავრცელდება. პრეზიდენტის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. „ინტერი“ მიყვარს და პატივს ვცემ ყველას, ვინც აქ მუშაობს. ვეცდები, ახალ რიტმს მოვერგო“, - ამბობს მორატი, რომელიც იტალიურ კლუბს 1995 წლიდან ფლობდა.

კასანო ბალოტელიში საკუთარ თავს ხედავს

იტალიური „პარმას“ თავდამსხმელი ანტონიო კასანო მარიო ბალოტელიში საკუთარ ახალგაზრდობას ხედავს.

„მარიო ბრწყინვალე ადამიანია. ჩემს თავს მაგონებს იმ პერიოდში, როცა 20 წლის ვიყავი, - პარალელს ავლებს კასანო და სკუდეტოს მომავალი მფლობელის ვინაობასაც წინასწარმეტყველებს. - „ინტერის“ გულშემატკივრად ვრჩები, მაგრამ არა ვალტერ მაცარისი. ვფიქრობ, „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, სკუდეტო კი კვლავ „იუვენტუსს“ დარჩება“.

კოტე ტულუში: «16 წლამდელებში ბევრი ნიჭიერი ბავშვია»

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ეგიდით ტარდება თბილისის 16 წლამდელთა ჩემპიონატი. ტურნირის შესახებ აზრი გამოთქვა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის ასისტენტმა კოტე ტულუშმა.

კოტე ტულუში: »ამ ასაკში ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა. ახალგაზრდები ეტაპობრივად ვითარდებიან და მაღალ დონეზე ჩატარებული ტურნირი პროგრესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. რამდენადაც «არმიაში“ ჩემი მუშაობა მომცემს დროს, იმდენად დავესწრები თბილისის ჩემპიონატს და დავაკვირდები მოთამაშეებს. სასიამოვნოა, რომ ასაკობრივ ჯგუფებში ნიჭიერი მოთამაშეები არ იკარგებიან და ყველა ასაკს ყურადღებას აქცევენ. ტურნირი საინტერესოდ დაიწყო და იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება. კონკრეტულად ვერავის გამოვარჩევ. ბავშვებზე არასაკმარისი ინფორმაცია მაქვს და ზედაპირულად ვინმეს გამორჩევა არ მინდა.“


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allmovies.ge
Pink